

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „ელიტა ბურჯი“-ს შორის 2018 წლის 04 სექტემბერს
დადებულ №604-ე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
შეთანხმება №1

ქ. თბილისი

05 დეკემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი შსს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ელიტა ბურჯი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206120437) (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით, ემოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2018 წლის 04 სექტემბერს დადებულ №604-ე ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე და შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N2933819; 05.12.2018წ. სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N2933819; 05.12.2018წ. სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, გულუას ქ. N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საჭირო გახდა პროექტში ცვლილების შეტანა. ასევე, მინის გადახურვის ქვეკონსტრუქციის დასამონტაჟებლად საჭიროა საყრდენი კედელი, რომლის აშენებაც დროულად ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ პარალელურად სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა და გამოიწვია სამუშაოების შეფერხება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება, რომ შპს „ელიტა ბურჯთან“ 2018 წლის 04 სექტემბერს დადებულ №604-ე ხელშეკრულებაში ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის შესაბამისად განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.1 სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 14 თებერვლის ჩათვლით“.
2. ხელშეკრულების 2.5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.5 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ძალაშია 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით. მაგრამ, არაუადრეს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე“.
3. ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სს „ბანკი ქართუ“-ს მიერ 2018 წლის 03 სექტემბერს გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის N6150-09/18 მოქმედების ვადის გაგრძელება არაუადრეს 2019 წლის 16 მაისის ჩათვლით. მიმწოდებელმა ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან.
6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს 2018 წლის 04 სექტემბერს დადებულ №604-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აქედან სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

შსს ეკონომიური დეპარტამენტის
დირექტორი

შპს „ელიტა ბურჯი“-ს დირექტორი

თია მელაძე

გიორგი როგავა

